გლობალურ სტრესთან გამკლავების თავისებურებები

მარიამ ქორიძე

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებისა და ხელოვნების ფაკულტეტზე კლინიკური ფსიქოლოგიის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად

კლინიკური ფსიქოლოგია

ნაშრომის ხელმძღვანელი: ია შეყრილაძე,

ასოცირებული პროფესორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2022

''როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი , ვაცხადებ , რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ , გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს , რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად''

მარიამ ქორიძე 31.05.2022

აბსტრაქტი

წინამდებარე კვლევის მიზანია დაადგინოს არის თუ არა კავშირი არაჯანსაღ კვებით მიდრეკილებებს, სიტუაციურ შფოთვას, კოვიდ-წუხილს, უკრაინის ომზე წუხილს, ქმედების/დაგეგმვის სტილს, ინფორმაციის მოძიების/გადამუშავების სტილს, ბედთან შერიგების სტილს და გაქცევა/აცილების სტილს შორის.

კვლევაში მონაწილეობა მიიღო 121 ინვიდივმა. ასაკი ვარირებდა 18-დან 58 წლის ჩათვლით. აღნიშნულ კვლევაში 56 მამრობითმა და 65 მდედრობითი სქესის წარმომადგენელმა მიიღო მონაწილეობა. გამოყენებულ იქნა შემდეგი ინსტურმენტები: სიტუაციური შფოთვის საკვლევი კითხვარი (Spielberger et al., 1983), კოვიდ-წუხილის სკალა (Shekriladze, Javakhishvili &Chkhaidze, 2021), უკრაინის ომზე წუხილის სკალა (Barbariani & Shekriladze, 2022), პანდემიასთან გამკლავების სტრატეგიების საკვლევი კითხვარი (Shekriladze, Javakhishvili &Chkhaidze, 2021), კვებითი აშლილობის საკვლევი კითხვარის მოკლე ვერსია EDE-QS კითხვარი (Gideon et al., 2016).

კორელაციურმა ანალიზმა აჩვენა, რომ არაჯანსაღ კვებით მიდრეკილებები დადებითი კავშირია ემოციური დაძლევის სტრატეგიებთან - ბედთან შერიგების და გაქცევა/აცილების სტილებთან. წონა და არაჯანსაღი კვებითი მიდრეკილებები დადებით კორელაციაშია ერთმანეთთან. ინფორმაციის მოძიების სტილი და ასაკი უარყოფით კორელაციაშია ერთმანეთთან. აცილების სტილი სუსტ დადებით კორელაციაშია შფოთვასთან. რეგრესიულმა ანალიზმა აჩვენა, რომ რაციონალური დაძლევის სტილები -ქმედება/დაგეგმვის და ინფორმაციის მოძიების სტილები - არ წინასწარმეტყველებენ და არც უარყოფით კორელაციაში არ არიან არაჯანსაღ კვებით მიდრეკილებებთან. ასევე, ბედთან შერიგების სტილი წინასწარმეტყველებს არაჯანსაღ კვებით მიდრეკილებებს.

Abstract

The purpose of this study is to determine whether there is a link between unhealthy eating habits, situational anxiety, covid-19 worry, ukraine war anxiety, accessing/processing coping, action-planning coping, passive-submissive and avoidant coping.

Through online survey, we gathered information from 121 individuals aged 18 through 58. We used self-report questionnaires including: the State Anxiety Inventory (Spielberger et al., 1983), the COVID-19 Worry Scale (Shekriladze, Javakhishvili &Chkhaidze,2021), Ukraine War Worry Scale (Barbariani & Shekriladze, 2022), the Ways of Coping Scale (Shekriladze, Javakhishvili &Chkhaidze,2021), The Eating Disorder Examination – Questionnaire Short (EDE-QS) (Gideon et al., 2016).

Correlation analysis has shown that unhealthy eating habits are positively correlated with emotional coping strategies - passive-submissive and avoidant coping. Weight and unhealthy eating habits are positively correlated with each other. accessing/processing coping and age are negatively correlated with each other. Avoidant style is weakly correlated with anxiety. Regression analysis has shown that rational coping styles - action / planning and accessing/processing coping styles- are neither predictive nor negatively correlated with unhealthy eating habits. Also, passive-submissive style predicts unhealthy eating tendencies.

მადლობა

მადლობას ვუხდი ჩემს ხელმძღვანელს ია შეყრილაძეს იმ რეკომენდაციებისთვის და შენიშნევისთვის, რითიც დახმარება გამიწია ამ ნაშრომის შესრულების პროცესში.

ასევე მადლობას ვუხდი ყველა იმ რესპოდენტს, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს კვლევაში.მათი დახმარების გარეშე შეუძლებელი იქნებოდა ამ ნაშრომის დაწერა.